მე-9 კლასი

სავარჯიშო 1. მორფოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

1. ნართანიან მრავლობითში დასმული რომელი სახელი დგას ნათესაობით ბრუნვაში?
   ა) ვეზირთ შეუპყრიათო მსტოვრები.
   ბ) მერცხალთ გადაუფრინეს მთებს.
   გ) მდინარეთა ნაპირებზე სასიამოვნოა დასვენება.
2. რომელია სწორად დაწერილი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი?
   ა) თითოეული; ბ) თვითოეული; გ) თვითეული.
3. რომელია სწორი ფორმა?
   ა) ჩვენ მეგობრობას; ბ) თქვენ შემართებას; გ) ჩვენს სიძლიერეს;
4. რომელია მოქმედებითი გვარის ზმნა?
   ა) ჭკნება; ბ) ამშვენიერებს; გ) იხურება.
5. რომელი სერიისა და მწკრივის ფორმაა ზმნა „დავბადებულვარ“?
   ა) მეორე სერია, წყვეტილი; ბ) მესამე სერია, პირველი თურმეობითი;
   გ) პირველი სერია, მყოფადის კავშირებითი.
6. რომელ ბრუნვაში დგას ჩვენებითი ნაცვალსახელი წინადადებაში? „ასეთი უცნაური ამბავი ჯერ არ მსმენია.“
   ა) სახელობითში; ბ) ნათესაობითში; გ) მოქმედებითში.
7. რომელია უთემისნიშნო ზმნა?
   ა) ვამბობ; ბ) ირხევა; გ) ტეხს.
8. რომელია სწორი ფორმა?
   ა) ჩავიცმევ; ბ) ჩავიცვამ; გ) ჩავიცვავ.
9. რომელია ხმოვანმონაცვლე ზმნა?
   ა) ზელს; ბ) რეკავს; გ) ჩეხს.
10. რომელია კუმშვადი სახელი?
    ა) ბევრი; ბ) გადია; გ) მონასტერი.

სავარჯიშო 2. სინტაქსი - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

11. როგორია მოცემული წინადადება აგებულების მიხედვით: „ეს ამბავი ყველასთვის სალაპარაკოდ და სამსჯელოდ გადაიქცა.“
    ა) რთული თანწყობილი; ბ) შერწყმული; გ) მარტივი.
12. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?
    ა) ბიჭს ოდნავ მოთეთრო ფერი დასდებოდა. ბ) ყველაზე უკეთესი კაბა ნათიას ეცვა.
    გ) მეფის ვეზირი უმკაცრესი უნდა ყოფილიყო.
13. რომელ წინადადებაშია სტილისტური ხარვეზი?
    ა) მარიამი თანდათან ლამაზდება. ბ) მერაბს მეტად ენაკვიმატი ენა ჰქონდა.
    გ) განათლების მინისტრმა განაცხადა.
14. რამდენი მძიმე აკლია მოცემულ წინადადებას? „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ სიყვარულის ლექსის სადღეგრძელოს ენავ!“
    ა) ორი; ბ) ოთხი; გ) სამი.
15. რომელი წინადადებაა მარტივი გაუვრცობელი?
    ა) მოხუცი მღერის. ბ) ტყეში ტოტი მოტეხილა. გ) მაგრად შეუკრეს ხელები.
16. რომელი წინადადებაა მარტივი ?
    ა) იღიმებოდა ბედნიერი არაგვი. ბ) მზე და მთვარე უბრად იყვნენ. გ) დაღამდა, მიწყდა ფეხის ხმა.
17. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა:„მეფემ გულიანად გადაიხარხარა და გოგონას <u>მადლობა</u> გადაუხადა.“
    ა) ქვემდებარე; ბ) პირდაპირი დამატება; გ) გარემოება.
18. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „დედის <u>უდიდესი</u> მწუხარება ყველამ გაიზიარა.“
    ა) შემასმენელი; ბ) ქვემდებარე; გ) განსაზღვრება.
19. რომელ წინადადებაშია ვითარების ზმნიზედა?
    ა) „ლამაზი და მშვენიერი, დღე გათენდა ბედნიერი.“ ბ) „ლამაზად და მოხდენილად გამოეწყო დანიელი.“
    გ) „გალამაზებული ბიბლიოთეკა სტუმრებს ელოდა.“
20. რომელ წინადადებაშია ადგილის ზმნიზედა?
    ა) „გასულ წელს წარმატება მოიპოვა ჩვენმა გუნდმა.“ ბ) „აქ ყველაფერი კარგია, აქ ყველაფერი ნათობს.“
    გ) „გამარჯვებისთვის იბრძოდა ყველა.“

სავარჯიშო 3. ლექსიკა, ფრაზეოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

21. რას ნიშნავს სიტყვა „იავარქმნილი“?
    ა) აოხრებულს; ბ) ია-ვარდად გადაქცეულს; გ) გაბზარულს.
22. რა არის „იალაღი“?
    ა) პიტალო კლდე; ბ) მდინარის ნაპირი; გ) საზაფხულო საძოვარი მთაში.
23. რა არის „თავხე“?
    ა) მთავარი ხე ბაღში; ბ) მთავარი კოჭი, რომელსაც ჭერის სხვა კოჭები ეყრდნობა;
    გ) სახლის ასაშენებელი ხის ბოძები.
24. რას ნიშნავს სიტყვა „ზვარი“?
    ა) პატარა ბოსტანს; ბ) პატარა ვენახს; გ) დიდ ვენახს.
25. რა არის „ზმანება“?
    ა) სიზმარი, მოლანდება; ბ) ფიქრი, ოცნება; გ) მწუხარე განწყობა.
26. რა არის „ვოლიერი“?
    ა) გრძელი საწოლი მოხუცთათვის; ბ) შემოღობილი ადგილი ცხოველების სადგომად;
    გ) პატარა სახლი ცხოველებისთვის.
27. რას ნიშნავს სიტყვა „დუბელა“?
    ა) პატარა მდინარეს; ბ) ჭის წყალს; გ) დამდგარ წყალს, გუბეს.
28. რას ნიშნავს გამოთქმა: „დატრამალდება გული“?
    ა) სიხარულით აივსება გული; ბ) უგრძნობელი გახდება; გ) გაფრინდება ცაში.
29. რას ნიშნავს გამოთქმა: „გულის ჭიდილი“?
    ა) გაბედნიერება; ბ) გაფიცხება; გ) გულის ტკივილი.
30. რას ნიშნავს გამოთქმა: „მომნაკვერცხლები კერისა“?
    ა) კერის გამჩაღებელი; ბ) სახლის დამანგრეველი; გ) ბედის მძებნელი.

სავარჯიშო 4. ლიტთეორია, მხატვრული ხერხები - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (10 ქულა)

31. რა არის მოთხრობა?
    ა) ეპოსის ისეთი სახე, რომელშიც მხოლოდ ერთ პერსონაჟზეა საუბარი;
    ბ) ეპოსის ისეთი სახე, რომელშიც ვრცლად არის მოთხრობილი ერთი ამბავი;
    გ) ეპოსის ისეთი სახე, რომელშიც საუბარია მხოლოდ ორ ადამიანზე.
32. რა არის ნოველა?
    ა) მცირე ზომის თხრობითი ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია მხოლოდ ერთი რომელიმე საინტერესო ეპიზოდი გმირის ცხოვრებიდან;
    ბ) დიალოგით დაწერილი პატარა ამბავი;
    გ) დამრიგებლობითი ხასიათის მოთხრობა რამდენიმე პერსონაჟზე.
33. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „ვით ყვავილი მინდვრის, იღიმება ქალი...“?
    ა) ეპითეტი; ბ) გაპიროვნება; გ) შედარება.
34. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „მშვენიერმა მაისმა თავისი სითბო გვაგრძნობინა.“
    ა) შედარება; ბ) ეპითეტი; გ) ჰიპერბოლა.
35. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი.“
    ა) შედარება; ბ) ეპითეტი; გ) მეტაფორა.

ლიდერი კომპანიების შეკითხვები მომავალ ლიდერებს:

ბონუს დავალება - შემოხაზეთ სწორი პასუხი (10 ქულა)

1. **“ლიბერთის” კითხვა:** „პედაგოგები კმაყოფილი ვართ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით, რადგან ჩვენი ყველა მოთხოვნა დროულად სრულდება.“ როგორია მოცემული დამოკიდებული წინადადება?
   ა) განსაზღვრებით დამოკიდებული; ბ) დროის გარემოებით დამოკიდებული;
   გ) მიზეზის გარემოებით დამოკიდებული;
2. **“ბიუ-ბიუს” კითხვა:** „ბიუ-ბიუ“-ს ქათმის ხორცის მაღაზია მყიდველს <u>მეტად</u> იზიდავს ნედლი და ჯანსაღი პროდუქტის გამო.“ წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა?
   ა) ქვემდებარე; ბ) განსაზღვრება; გ) გარემოება;

{ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალების ქულა ძირითადი დავალების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.}